........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია დოკუმენტით: **„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“**, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის ბრძანებით № ბ54.26251644.

აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან და თემთან ეფექტიანი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო მეთოდებსა და არხებს, მათ შორის:
• პირისპირ შეხვედრებს;
• დისტანციურ შეხვედრებს (ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით);
• მატერიალურ კორესპონდენციას;
• საინფორმაციო დაფებს;
• სატელეფონო ზარებს;
• ელექტრონულ ფოსტას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს **საკომუნიკაციო გეგმა** 2025 წლის სექტემბერი – 2026 წლის აგვისტო დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის № ბ54. 26252069 ბრძანებით

*2.* **საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი** დამტკიცებულია ა ( ა ) იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 20 25 წლის № ბ54. 26251644 ბრძანებით

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობლებთან განხორციელებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიმოწერა, ფოტო მასალა) შემდეგ თემებზე:

1. **„პოზიტიური მშობლობა“** – ორგანიზებული გაერთიანების მიერ;
2. **„ინკლუზიური განათლება“** – ორგანიზებული გაერთიანების მიერ.

თუმცა, ხარისხის სტანდარტის მიხედვით, სავალდებულოა მშობელთა ცნობიერების ამაღლება შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვთა უფლებები;
- ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებები;
- ბავშვის განვითარების ზოგადი მახასიათებლები.

აღნიშნულ თემებზე ჩატარებული ღონისძიებების ან ტრენინგების დამადასტურებელი მასალები დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

სასურველია დაწესებულებამ დაგეგმოს და განახორციელოს მიზნობრივი ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების შეხვედრები მშობლებისთვის შემდეგ აუცილებელ თემებზე: • ბავშვთა უფლებები; • ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებები; • ბავშვის განვითარების ზოგადი მახასიათებლები. ტრენინგები უნდა წარიმართოს როგორც შიდა რესურსების (აღმზრდელები, სპეციალისტები), ისე გარე ექსპერტების ჩართულობით და თან ახლდეს დოკუმენტაცია: დღის წესრიგი, სია, ფოტო/ვიდეო მასალა და მშობელთა უკუკავშირი.

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია  აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ  ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები  ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასამხრალის ბაგა-ბაღი, აღსაზრდელების შეფასებისას  იხელმძღვანელებს სააგენტოს მიერ  შემუშავებული „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით (**ბრძანება № ბ54.26251604).**

და დაცულია შესაბამისი შეფასების შედეგები. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება ბრძანება № ბ54.26251604-ით დამტკიცებული დოკუმენტით – ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.

აღნიშნული ადასტურებს, რომ:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობას მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის;
2. შეფასების შედეგების განხილვა მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად;
3. შეფასების დოკუმენტაცია ინახება ბავშვის პორტფოლიოში.

თუმცა, მიუხედავად ჩამოყალიბებული მექანიზმისა, **შეფასების და დაკვირვების ფორმები არ არის დამტკიცებული** მუხლი 8 პუნქტი 3 ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი კომპონენტის ნაკლებობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დაკვირვებისა და შეფასების ფორმების ოფიციალურად დამტკიცება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის.
ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საკომუნიკაციო გეგმაში ნათლად იკითხება თემთან თანამშრომლობის მექანიზმები აღნიშნული აქტივობების მიზნობრივი დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. კერძოდ, სკოლის ბიბლიოთეკაში ვიზიტი წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს თემში არსებული რესურსის გამოყენებისა, რაც დასტურდება საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმითა და აღმზრდელთან ჩატარებული ინტერვიუთი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის საბავშვო ბაგა-ბაღში ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა სისტემურად ხორციელდება. მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი ბაღის მუშაობის პროცესში, მათ შორის **ღია კარის დღეზე**, სადაც უზიარებენ ბაღის გამოწვევებსა და დაგეგმილ ცვლილებებს. გარდა ამისა, წარმოდგენილია **მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი ფოტომასალა და ოქმები**, რაც ადასტურებს პროცესის გამჭვირვალობას. საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ცვლილება განხორციელდა დროულად და მოვალეობები სხვამ აიღო საკუთარ თავზე, რაც უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციურობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მშობელთან ბაღის პერსონალს (აღმზრდელს, თანაშემწეს, მენეჯერს) ჰქონდეს პირისპირ შეხვედრები. თითოეული მშობლისგან ისმენენ ინფორმაციას და თითოეული მშობლის აზრის გათვალისწინებით დაიგეგმოს იმ კონკრეტულ ბავშვთან მუშაობა. ანუ, მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდეს ცვლილებები, რაც გააძლიერებს აქტივობების შეფასების მექანიზმს.დაწესებულებას აქვს მზაობა შეაფასოს ოჯახთან და თემთან განხორციელებულ კომუნიკაციური აქტივობები. ეს ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (ბრძანება № ბ54.26251644, მუხლი 6), სადაც განსაზღვრულია განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმები.

კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტიანობის შესაფასებლად, გაერთიანება იყენებს შემდეგ უკუკავშირის მექანიზმებს:
ა) კითხვარები;
ბ) შენიშვნების/წინადადებების ყუთი;

გ) ღია შეხვედრები;
დ) ანონიმური შეტყობინებები;
ე) უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება სამიზნე აუდიტორიისგან.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება უკუკავშირის მისაღებად იყენებს მშობლების ყუთს და პირისპირ შეხვედრებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი **ბრძანება № ბ54. 26251644**
2. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საკომუნიკაციო გეგმა 2025 წლის სექტემბერი – 2026 წლის აგვისტო **ბრძანება № ბ54. 26252069**
3. „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით:**ბრძანება № ბ54.26251604**
4. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

## 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღი დაკომპლექტებულია შესაბამისი რაოდენობის პერსონალით: მენეჯერი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, მეეზოვე/ტექნიკური დამხმარე, დამლაგებელი, მზარეული, მზარეულის თანაშემწე და მზარეულის ტექნიკური დამხმარე. არსებული ადამიანური რესურსი საკმარისია დაწესებულების მიზნების შესრულებისთვის და უზრუნველყოფს როგორც **ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას**, ასევე ბაღის მდგრად ფუნქციონირებას. თუმცა არ მიმდინარეობს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების პერიოდული კვლევა და შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც არსებული პრაქტიკის მდგრადობა, ასევე განვითარების პერსპექტივა. გარდა ამისა გაერთიანებას არ ჰყავს ფსიქოლოგი და ლოგოპედი, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ამ კონკრეტულ ბაღში თუ ჩაირიცხება ბავშვი მსგავსი საჭიროებებით, გაერთიანება ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების პერიოდული შეფასება და მის საფუძველზე შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება, რაც გააძლიერებს არსებული პრაქტიკის მდგრადობას და განვითარების შესაძლებლობებს. ასევე რეკომენდებულია

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ფსიქოლოგისა და ლოგოპედის ჩართულობა გაერთიანების დონეზე, რათა დაწესებულებას ჰქონდეს შესაძლებლობა, ეფექტიანად უპასუხოს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დოკუმენტურად განსაზღვრულია თითოეული რგოლის ფუნქციები და მოვალეობები. კერძოდ:

- ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" შინაგანაწესში (თავი IV, მუხლი 10 და თავი V, მუხლი 20) გაწერილია ადმინისტრაციისა და ბაგა-ბაღის თანამშრომელთა ფუნქციები.
- 2025 წლის № ბ54.262506001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მე-17 მუხლი განსაზღვრავს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით (N-20, N-19) გაწერილ მოთხოვნებს.
- პერსონალის საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია დაცულია თანამშრომელთა პირად საქმეებში.

თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობები სრულყოფილად არ არის დარეგულირებული. ხელშეკრულებები, რომლებიც პირად საქმეებში ინახება, ბოლოდ ვადით გაფორმებულია 2016 წელს და მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 2017 წლის 15 ნოემბრამდე. ამის შემდეგ ახალი ხელშეკრულებები აღარ გაფორმებულა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

აუცილებელია თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების განახლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რათა შრომითი ურთიერთობები სრულად იყოს დარეგულირებული.

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დადგენილი მოთხოვნის მიუხედავად, პერსონალის კვალიფიკაცია სრულად არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს, კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის N19 და N20 დადგენილებებს. ასევე, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18¹-ე მუხლის თანახმად, დაწესებულების პერსონალისთვის დადგენილია შეზღუდვა — დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი (მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა). თუმცა, პერსონალის პირად საქმეებში არ მოიპოვება შესაბამისი ცნობები, რაც ადასტურებდა ამ მოთხოვნის დაცვას.

**დასკვნა:**

ამ ეტაპზე პერსონალის კვალიფიკაცია და დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში არ არის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **შესაბამისად, ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს:

- პერსონალის კვალიფიკაციის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (N19 და N20 დადგენილებების გათვალისწინებით);
- თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში საჭირო დოკუმენტაციის არსებობა, მათ შორის ცნობების წარმოდგენა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ" კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის ნაწილი ფლობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციას, თუმცა ყველა თანამშრომელს აღნიშნული ტრენინგი არ აქვს გავლილი. დაწესებულების შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ აღნიშნული ტრენინგი ეტაპობრივად ჩატარდება და უზრუნველყოფილი იქნება ყველა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობა. ამ ეტაპზე მოთხოვნა შესრულებულია ნაწილობრივ.

გამომდინარე აქედან პერსონალის მხოლოდ ერთ ნაწილს გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც მიუთითებს ინდიკატორთან ნაწილობრივ შესაბამისობაზე.

**შესაბამისად, ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაში, რათა სრულად შესრულდეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა და გაზარდოს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხარისხი.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია  აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ  ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის  ნასამხრალის  საბავშვო ბაგა-ბაღში პერსონალის მართვის პროცესი ძირითადად განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად. თუმცა, დარღვეულია „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი, რომლის მიხედვით: საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობა უნდა იყოს 9 საათი, სამჯერადი კვებით, ხოლო სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა დღეში 3 საათი. რეალურად, ბაღი სრულდება 16:15-ზე, რის შემდეგაც ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები, რაც კანონს არ შეესაბამება.

**დასკვნა**

პერსონალის მართვის პროცესები ნაწილობრივ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა დარღვეულია სამუშაო დღის ხანგრძლივობის და გახანგრძლივებული ჯგუფების ორგანიზების რეგულაცია.

**შესაბამისად, ინდიკატორით  გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სამუშაო დღის და სასწავლო პროცესის რეგულირება „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, რათა სრულად იყოს დაცული კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. რეკომენდებულია გახანგრძლივებული ჯგუფების ფუნქციონირების წესის გადახედვა ან მათთან შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციის შემუშავება.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელების გაფორმებული ხელშეკრულებები არ არის მოქმე4დ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კერძოდ, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები თარიღდება 2017 წლით. ამ დროის შემდეგ არ განახლებულა ხელშეკრულება, არ გაფორმებულა შეთანხმება თუნდაც ხელფასის ზრდასთან მიმართებაში. აღნიშნულ ხელშეკრულებებში გაწერილი არ არის სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობების შესახებ ინფორმაცია, თუმცა შინაგანაწესის **მუხლი N6 -ში** განსაზღვრულია არასაკონტაქტო საათები.40 წთ. გასაუბრების დროს ბაგა-ბაღის მენეჯერთან, გაერთიანების დირექტორთან გამოიკვეთა, რომ აღმზრდელის მიერ არასაკონტაქტო საათით სარგებლობის დროს მათ ჯგუფში დარღვეულია აღმზრდელებისა და ბავშვების თანაფარდობა. **ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიცილალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია: ბაგა-ბაღის აღმზრდელებთან ისე დაიგეგმოს არასაკონტაქტო საათების გამოყენება, რომ არ დაირღვეს ჯგუფში აღმზრდელების თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებაში.შესაბამისად ამ მიზნით უნდა განსაზღვრონ სათადარიგო აღმზრდელი

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

.

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს სამსახურში აყვანის/დანიშვნის წესებს. დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის მიღება როგორც **პირდაპირი წესით, რეკომენდაციის საფუძველზე, ასევე ღია კონკურსის ჩატარებით.** აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

**დასკვნა**
პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები ძირითადად შეესაბამება ინდიკატორთან დაკისრებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის  საბავშვო ბაგა-ბაღში ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფილია როგორც გასაუბრების, ისე დოკუმენტური უზრუნველყოფის გზით. დოკუმენტურად რეგისტრირებულია (ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის № ბ54 262506001 ბრძანება, მე-18 მუხლი),  რომ ახალ თანამშრომელს უზრუნველყოფენ ადაპტაციის პირობებითა და საჭირო მხარდაჭერით სამუშაო გარემოში ჩასართავად. კერძოდ ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;

დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;

ზ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

**დასკვნა**
დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ეფექტურ ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესში ადაპტაციას და ადეკვატურ ჩართულობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.......................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.......................................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.......................................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ნასამხრალის საბავშვო ბაგა-ბაღში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადგილზე განხორციელებული ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალს შორის არსებობს მეგობრული, მხარდამჭერითი და თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ეფექტურ ფუნქციონირებას.

**დასკვნა**
ორგანიცაციული კულტურა ნასამხრალის ბაღში სრულად შეესაბამება თანამშრომლობითობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით მათი საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევას. შეფასება ხორციელდება „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“ მუხლი 19-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს როგორც პერსონალის ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგს, ასევე მათ მიერ შესრულებული სამუშაოს პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესში მონაწილეობენ ადმინისტრაცია და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა კუთხით ანალიზს და რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს. აღნიშნული პროცესი საშუალებას აძლევს დაწესებულებას მოამზადოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები, იდენტიფიცირდეს უნარ-ჩვევების განვითარების ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებები, დაგეგმოს შესაბამისი ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები. თუმცა თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის საბავშვო ბაგა-ბაღში პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა ნაწილობრივ ხორციელდება. შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულია პროცედურები, რომლითაც ხდება პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი და პროფესიული საჭიროებების გამოვლენა. ვინაიდან აღნიშნული პროცედურები გაწერილი აქვს

დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რელევანტურად დაგეგმილ დროში ამ პრობლემის აღმოფხვრის შესაძლებლობას.

**დასკვნა**

პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესები ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორთან დაკისრებულ მოთხოვნებს, რადგან განხორციელება ჯერ არ არის დოკუმენტურად სრულად გაწერილი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს  პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესების  დოკუმენტურად სრულად გაწერა.

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია  აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ  ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 2. პერსონალის  განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის განვითარების პროცესი დაგეგმილია საჭიროებების სისტემატური შეფასების საფუძველზე. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის -„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“  -  მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების მოკვლევას, რის საფუძველზეც ფორმირდება მიზნობრივი განვითარების გეგმა. გეგმაში აისახება პერსონალის ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებები, რომლებიც მიჩნეულია პრიორიტეტულად და წარმოაჩენს პროფესიული

გაუმჯობესების კონკრეტულ მიმართულებებს. დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს სპეციალიზებულ ტრენინგებს, სემინარებსა და სხვა პროფესიული განვითარების აქტივობებს, რომელთა განხორციელება ასახულია დაწესებულების ერთწლიან გეგმაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება მხარს უჭერს და პრიორიტეტს ანიჭებს პერსონალის პროფესიულ ზრდასა და თვითგანვითარებას. თანამშრომლები წაახალისებულნი არიან პროფესიულ ინიციატივებში, მათ შორის კურსებსა და ტრენინგებში აქტიური ჩართულობით. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებულობას სხვადასხვა ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ როგორც შიდა, ისე საგარეო პროფესიულ ღონისძიებებში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პერსონალის კომპეტენციების ზრდას, მათი ინიციატივების მხარდაჭერას და უწყვეტი პროფესიული განვითარების გარემოს ჩამოყალიბებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* ორგანოგრამა

2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და ბრძანება Nბ54. 2625206001

3. შინაგანაწესი ბრძანება შინაგანაწესისი დამტკიცების შესახებ Nბ54.26230386

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ( საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით) N19, N20 2018წ

5. ტრენინგების ჩატარების დოკუმენტაცია - ხელშეკრულებები

6. მიმოწერა ტრენერებთან რტენინგების ჩატარების შესახებ

7. პერსონალის პირადი საქმეები

8. სერთიფიკატები პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესახებ (ადგილზე).

9. გადამზადების სერთიფიკატები

10. შრომითი ხელშეკრულებები

11. დანიშვნების ბრძანებები

12. შესაბამისობის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

## 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საქმიანობა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს სისტემურ, გამჭვირვალე და ეფექტიან მენეჯმენტს. მართვის სისტემა მოეწყობა მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებისა და მათი ფუნქციური დანაწილების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობების სწორად განსაზღვრას, თანამშრომელთა თანმიმდევრულ საქმიანობას და პროცესების უწყვეტობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სააგენტოს არ გააჩნია ფორმალურად დამტკიცებული დოკუმენტი — „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“, პრაქტიკაში უკვე იდენტიფიცირებულია და მოქმედებაშია შემდეგი პროცესები:

**მმართველობითი პროცესები:**

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ხარისხის უზრუნველყოფა.

**ძირითადი პროცესები:**

- კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;

- ბავშვთა რეგისტრაცია, ჩარიცხვა და ამორიცხვა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მომსახურება;
- ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა.

**დამხმარე პროცესები:**

- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსების მართვა;
- დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების მართვა;
- პერსონალისა და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ფინანსური რესურსების მართვა;
- სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურების უზრუნველყოფა;
- კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა.

პროცესულ მიდგომაზე დაფუძნებული მენეჯმენტი ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას, უფლებამოსილებების სწორ განაწილებას, თანამშრომელთა საქმიანობის კოორდინირებულ წარმართვას და დაინტერესებულ მხარეებთან გამჭვირვალე კომუნიკაციას. პროცესების იდენტიფიცირება ქმნის მყარ საფუძველს მათი შემდგომი დოკუმენტირებისა და უწყვეტი გაუმჯობესებისათვის.

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების სისტემა დოკუმენტურად არ არის ჩამოყალიბებული, რაც უშლის ხელს პროცესების ეფექტურ და სისტემურ მართვას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  არ არის  დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიკაცია, აღწერა და დოკუმენტურად დადასტურება. რეკომენდებულია შესაბამისი ბრძანების გამოცემა პროცესების ფორმალიზაციისა და სისტემური მართვის უზრუნველსაყოფად.

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია  აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ  ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის — დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადახედვა/გაუმჯობესება — შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საქმიანობის სისტემურობას, ეფექტიანობასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

სააგენტოში მიმდინარეობს პროცესულ მიდგომაზე დაფუძნებული მართვის ინსტრუმენტების დანერგვა, რაც გულისხმობს თითოეული ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესის ციკლურად დაგეგმვას, განხორციელებას, მიღებული შედეგების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში გადახედვასა და გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება, ხორციელდება და ფასდება კურიკულუმის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მიზნებზე ორიენტირებულ და სტრუქტურირებულ საქმიანობას. აგრეთვე, დაგეგმილია და ეტაპობრივად ხორციელდება ოჯახებთან და თემთან თანამშრომლობის სტრუქტურირებული მიდგომა, რაც ხელს უწყობს პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების სრულყოფას.

დაწესებულებას უკვე აქვს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტების ნაწილი, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესების სტრუქტურას, პასუხისმგებლობების განაწილებას და მართვის პრინციპებს. ამასთან ერთად, მიმდინარეობს არსებული მექანიზმების

გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესის გაწერა და ოპტიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობის გაძლიერებას და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

**პროცესების მართვა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად არ მიმდინარეობა, შესაბამისად აღნიშნული არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროცესების მართვის დოკუმენტურად გაწერილი პროცედურების შემუშავება, რაც მოიცავს ციკლის ყველა ეტაპს (გეგმვა, განხორციელება, შემოწმება, რეაგირება) და უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ და ხარისხიან მართვას.

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვების ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი, ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტის — „ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი" — საფუძველზე, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესებსა და ეტაპებს, მათ შორის:

- რეგისტრაციისა და ჩარიცხვის დაწყების გამოცხადების პროცედურებს;

- რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ვადების განსაზღვრას;
- სხვა დაწესებულებაში გადაყვანის წესსა და ვადებს;
- ამორიცხვის წინაპირობებსა და ვადებს;
- რეგისტრაციის რიგითობისა და პრიორიტეტების განსაზღვრას;
- სარეზერვო სიების წარმოების წესს;
- დაწესებულების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ჩარიცხვის პრინციპებს.

ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი ადმინისტრირდება მატერიალური, ბეჭდური დოკუმენტაციის საფუძველზე — შესაბამისი განაცხადებისა და ფორმების შევსებით, თანმიმდევრული ადმინისტრაციული წესის დაცვით.

პროცესზე პასუხისმგებელია სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირი, ხოლო რეგულირების კონკრეტული პერიოდულობა, ვადები და პროცედურები განისაზღვრება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით.

დადგენილი წესი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, სტანდარტებთან შესაბამისობასა და ბავშვის ჩარიცხვასა/ამორიცხვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სამართლებრივ სიზუსტესა და პროცედურულ ერთიანობას.

**დასკვნა**
ბავშვების ჩარიცხვა და ამორიცხვა სრულად ხდება დაწესებულების წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................
რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თელავის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოება ფორმალურად რეგულირდება სააგენტოს მიერ დადგენილი წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა პროცესი ვერ განხორციელდება დადგენილი წესის სრული დაცვით მთელი რიგი მიზეზების გამო:

დაწესებულებაში არ არის დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი, ასევე არ არსებობს ერთიანი, დოკუმენტურად დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების ერთიან, სტრუქტურირებულ და კანონთან შესაბამის ფორმატს.

აღსანიშნავია, რომ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დამადასტურებდა პირადი საქმეების წარმოების პროცესის სრულ შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის, დოკუმენტბრუნვისა და ადმინისტრაციული წესების მოთხოვნებთან.

ამ ეტაპზე არსებული დაურეგულირებელი მიდგომა ქმნის რისკს დოკუმენტაციის არასისტემური დაგროვებისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტების დარღვევის მიმართულებით, რაც უშლის ხელს ინფორმაციის უსაფრთხო და სამართლებრივად დაცულ მართვას.

## დასკვნა

პირადი საქმეების წარმოების პროცესები **არ შეესაბამება** დადგენილ წესებსა და მოქმედ კანონმდებლობას. არსებული ხარვეზები საფრთხეს უქმნის პროცესის სამართლებრივ სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და მონაცემთა უსაფრთხოებას და ხელშემშლელია ინფორმაციის სისტემური და

ეფექტიანი მართვისთვის. დაწესებულება არ აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად. გამომდინარე აქედან **აღნიშნული არ შეესაბამება 4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნებს.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირის დანიშვნა და მისთვის შესაბამისი ფუნქციების განსაზღვრა;
- ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების ერთიანი, დოკუმენტურად შემუშავებული და დამტკიცებული წესის მიღება;
- პროცესის შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნა (ფორმები, რეესტრები, პროცედურები) და მისი სისტემატური მონიტორინგი;
- კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვა პირადი მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გამოყენების პროცესებში.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **ნაწილობრივ** დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბრძანება N.ბ54. 2625135001 „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“
2. ბავშვის პირადი საქმეები
3. პერსონალის პირადი საქმეები
4. შესაბამისობის გეგმა

## 4.3. მატერიალური რესურსი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი".

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი".

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისა და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოებისათვის აუცილებელ საბაზისო პირობებს. დაწესებულება უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საწყისი კომპლექტით (აფთიაქით), რომელიც ხელმისაწვდომია სარგებლობის საჭიროების შემთხვევაში. დაწესებულებაში მუშაობს კვალიფიციური ექთანი, რომელსაც გააჩნია ინდივიდუალურად გამოყოფილი სამუშაო სივრცე. შემუშავებული აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საქმიანობის ჟურნალი.

დაწესებულებას აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს რეაგირების პროცესის სტრუქტურულ და კოორდინირებულ მართვას კრიტიკულ სიტუაციებში.

მიუხედავად ამისა, პერსონალის ნაწილისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების ტრენინგები სრულად ჩატარებული არ არის, რაც ხელს უშლის უსაფრთხოების პროტოკოლების სრული შესაბამისად მართვას.

აღნიშნული ხარვეზი ასახულია დაწესებულების შესაბამისობის გეგმაში, სადაც განსაზღვრულია ამ მიმართულებით საჭირო ქმედებები.

საერთო შეფასებით, ინდიკატორის შესრულება **მეტწილად შეესაბამება** მოთხოვნებს და საჭიროებს სრულყოფას პერსონალის გადამზადების ნაწილში. აღნიშნული დაწესებულებას გაწერილი აქვს თანდართულ შესაბამისობის გეგმაში.

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების ტრენინგებების ჩატარება ყველა დასაქმებული პირისთვის, როგორც ეს არის გაწერილი შესაბამისობის გეგმაში, ანუ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ჯეროვნად.
რჩევა
..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები შერჩეულია ისე, რომ ჯანმრთელობისთვის საშიშ კომპონენტებს არ შეიცავს, მათი მდებარეობა არ ზღუდავს ბავშვთა თავისუფალ გადაადგილებას და რეგულარულად ტარდება მათი მოვლა და მონიტორინგი.

თუმცა, შემოწმების პროცესში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული ინფორმაციის სისწორეს. არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა ან ანგარიში, რომელიც ადასტურებდა, რომ არსებული მცენარეები არ შეიცავს ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს ან ზიანის გამოწვევის

პოტენციალს. ასევე, არ იქნა წარმოდგენილი მცენარეთა ჩამონათვალი, რაც აუცილებელია რისკების შეფასებისა და ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობის დასადასტურებლად.

აღნიშნული დოკუმენტაციის არარსებობა ართულებს რეალური სურათის შეფასებას და ვერ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და პროცესის სამართლებრივ შესაბამისობას.

ინდიკატორი **არ შეესაბამება** დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს:

- ბაღის ტერიტორიაზე არსებული ყველა მცენარის სრული ინვენტარიზაცია და ოფიციალური ჩამონათვალის მომზადება;
- უფლებამოსილი ორგანოს (სპეციალისტის/აგრონომის/ფიტოსანიტარული სამსახურის) მიერ ტერიტორიის შემოწმება და მცენარეების უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნის მიღება;
- მიღებული დასკვნის საფუძველზე რისკის შემცველი ან პოტენციურად საშიში მცენარეების მოცილება/შეცვლა უსაფრთხო სახეობებით;
- მცენარეთა მოვლისა და მონიტორინგის პროცედურის დოკუმენტირება, მათ შორის რეგულარული შემოწმების გრაფიკის დამტკიცება;
- პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობას და მონიტორინგის პროცესის უწყვეტ კონტროლს.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ბავშვების უსაფრთხოება კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან მათი გაყვანისას. პროცესი ხორციელდება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ წინასწარ მოწოდებული წერილობითი ნებართვის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივად დაცულ და გამჭვირვალე ადმინისტრირებას.

ბავშვების გადაადგილებას ზედამხედველობას უწევს პასუხისმგებელი პირი (აღმზრდელი), რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების წესების დაცვას და ბავშვების უსაფრთხო გარემოში გადაადგილების მუდმივ კონტროლს. დადგენილი პროცედურები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ბავშვების დაცულობას დაწესებულების ტერიტორიის მიღმაც.

ინდიკატორი **სრულად შეესაბამება** დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

## 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვისთვის სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო, რაც პირდაპირ ემსახურება ბავშვების ემოციური უსაფრთხოების დაცვას. ბავშვებს, საჭიროებისამებრ, გააცნობენ  დღის განრიგს და ინფორმაციას დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

დღის გეგმა წარმოდგენილია მკაფიო და ადვილად გასაგებ ფორმატში, რაც უზრუნველყოფს ბავშვებისთვის პროცესების გამჭვირვალობას, მომზადებას და რუტინის გაგებას. ეს მიდგომა ზრდის ბავშვის კომფორტს, ემოციურ სტაბილურობასა და უსაფრთხოების განცდას.

აღზრდისა და განათლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მიმართულია იმაზე, რომ ბავშვებმა მკაფიოდ იცოდნენ, რა და როდის ელის, რაც ხელს უწყობს ადაპტაციის პროცესს, თავისგამოხატვის უნარის განვითარებას და სტრესის თავიდან აცილებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი **სრულად შეესაბამება** დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, თანამშრომლები იცნობენ ბავშვის უფლებებს, იცავენ ეთიკურ და უფლებრივ სტანდარტებს და მუშაობის პროცესში იყენებენ ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს. პერსონალი დეკლარირებულად ფლობს ცოდნას ძალადობის ფორმებისა და ნიშნების ამოცნობისა და რეფერირების პროცედურების შესახებ, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და პატივსაცემ გარემოს ბავშვისთვის.

თუმცა, შემოწმების პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტურად დასაბუთებული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა, რომ პერსონალს რეალურად აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგები ბავშვთა უფლებების, ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირების და რეფერირების პროცესებთან დაკავშირებით. თანამშრომელთა ცოდნა დასტურდებოდა მხოლოდ ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით, რაც ვერ ითვლება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის ადეკვატურ დამადასტურებელ საფუძვლად.

დოკუმენტაციის არარსებობა და ტრენინგების ჩატარების მტკიცებულებების უქონლობა მიუთითებს პროცესის არასისტემურობას და არსებულ რისკზე, რომ პერსონალის ცოდნა შესაძლოა არ იყოს ერთიანი, სტაბილური ან სტანდარტთან შესაბამისი.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორი **არ შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს.

## დასკვნა

დაწესებულებაში პერსონალის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით გარკვეული ცოდნა ჩანს, მაგრამ ცოდნა არ დასტურდება ოფიციალური ტრენინგებით ან სერტიფიცირებული პროგრამებით. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის შესრულებული**, რადგან არ არსებობს საკმარისი და სანდო მტკიცებულება იმის შესახებ, რომ პერსონალი რეალურად ფლობს ბავშვთა უფლებებისა და რეფერირების პროცედურებზე სრულყოფილ და სტანდარტთან შესაბამის ცოდნას.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს:

- **ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე სავალდებულო ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება** ყველა სამიზნე პერსონალისათვის, მათ შორის ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლებისთვის;
- **სერტიფიცირებული ტრენინგ-პროგრამების შერჩევა**, რომლებიც მოიცავს ბავშვთა უფლებების, ძალადობის ნიშნების ამოცნობის, პრევენციის და რეფერირების წესების პრაქტიკულ ნაწილს;
- **ტრენინგების ჩატარების მტკიცებულებების სისტემური შეგროვება და შენახვა**, მათ შორის სერტიფიკატები, მონაწილეთა სიები და ტრენინგ-მოდულების აღწერა;
- **რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირის დანიშვნა**, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ზედამხედველობას და დროულ რეაგირებას;
- **რეგულარული შიდა მონიტორინგი და შეფასება** პერსონალის ცოდნისა და პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით;
- **ეთიკის კოდექსის და ბავშვის უფლებების დაცვის წესის აქტუალური ვერსიის შემდეგი კომუნიკაცია** პერსონალთან, მათ შორის ხელმოწერილი გაცნობილობა;
- **არსებული ცოდნის ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში**, მაგალითად: სიტუაციურ მოქმედებებზე სიმულაციური დავალებები, ქეისების განხილვა და პრაქტიკული ინსტრუქციების დამუშავება;
- **დამხმარე პერსონალისთვის ადაპტირებული ტრენინგ-ფორმატი**, რათა ყველა თანამშრომელი თანაბრად ფლობდეს ბავშვთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის ძირითად პრინციპებს.

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ძალადობის ეჭვის საფუძვლების ჩამონათვალს, რეაგირების მექანიზმებსა და ეტაპებს, მათ შორის: შემთხვევის ადგილზე შესწავლას, გადაუდებელ რეაგირებას, ინფორმაციის გადაცემის წესებსა და შესაბამის არხებს.

დადგენილი წესის თანახმად, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ინიშნება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, და მისი უფლებამოსილება ვრცელდება ბაღის ყველა ლოკაციაზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ერთიან, კოორდინირებულ და სტანდარტთან შესაბამის მართვას.

პროცედურები მოიცავს ასევე ბავშვის გასაუბრებას, სამედიცინო პერსონალის ჩართვას, მოწმეებთან და მშობლებთან კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს ეჭვის გადამოწმებისა და რეაგირების პროცესის სრულყოფილობას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს ბავშვების დაცულობას, პროცესის გამჭვირვალობას და შესაბამისი ნორმატიული მოთხოვნების შესრულებას.

ინდიკატორი **სრულად შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, ბავშვის ადაპტაციისა და ტრანზიციის ხელშეწყობა ხორციელდება მრავალმხრივი მიდგომებით, მათ შორის ბავშვის მდგომარეობის შეფასებით, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეაგირებით, ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფით, კონფიდენციალურობის დაცვითა და შემდგომი მხარდაჭერის მექანიზმებით. წარმოდგენილი აღწერის მიხედვით, დაწესებულება მიმართავს მგრძნობიარე და ინდივიდუალურ მიდგომებს, აწარმოებს ბავშვის მდგომარეობის ანალიზს, ახორციელებს მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს შესაბამის სპეციალისტებთან, რაც ხელს უწყობს როგორც ადაპტაციის პროცესს, ისე ტრანზიციის უსაფრთხო და მხარდაჭერილ მართვას.

თუმცა, შემოწმების პროცესში ეს ვერ დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით. დაწესებულებას არ გააჩნია დოკუმენტურად ფორმალიზებული პროცედურები, რეგლამენტი ან აღწერა, რომელიც ცხადყოფს, როგორ ხდება ბავშვის ადაპტაციის პროცესის დაგეგმვა, მონიტორინგი, ტრანზიციის მართვა ან შემდგომი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. არ არსებობს ხელისუფლებრივი/დაწესებულების დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა ადაპტაციის ეტაპებს, გამოყენებულ მექანიზმებს, შეფასების ფორმებს, პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს ან მონიტორინგის შედეგებს.

შესაბამისად, აღწერილი პრაქტიკის დასადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე ინდიკატორის  შესრულება სრულად ვერ შეფასდება.

## დასკვნა

დაწესებულება აცხადებს, რომ ხელს უწყობს ბავშვის ადაპტაციას და ტრანზიციას, თუმცა ამ პროცესის ფორმალიზებული აღწერა, დადგენილი პროცედურები, ინსტრუქციები და მონიტორინგის სისტემატური მტკიცებულებები არ არსებობს. შედეგად, ქვესტანდარტი **არ შეესაბამება** მოთხოვნებს, რადგან არსებული პრაქტიკა დოკუმენტურად არ დასტურდება.

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს:

- ბავშვის ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესის ოფიციალური, დოკუმენტურად შემუშავებული პროცედურის შექმნა, რომელშიც იქნება განსაზღვრული ეტაპები, სტანდარტები და პასუხისმგებელი პირები;

- ბავშვის მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტის/ფორმის შექმნა და გამოყენება ადაპტაციის პროცესში;
- ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესის და მონიტორინგის რეესტრების წარმოება (კონტაქტები, რეაგირების ქმედებები, პროგრესის მონიტორინგი და სხვა);
- პერსონალის გადამზადება ადაპტაციის და ტრანზიციის მხარდამჭერ მეთოდებში, მათ შორის ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკებში;
- სპეციალისტებთან (მათ შორის სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) თანამშრომლობის ფორმალიზება და დოკუმენტურად ფიქსირება საჭიროების შემთხვევაში;
- ბავშვისა და მშობლის ჩართულობის პროცესის გადახედვა და შესაბამისი კომუნიკაციის სტანდარტების შემუშავება.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა უზრუნველყოფილია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ დამტკიცებული „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესით“. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 6 სისტემურად განსაზღვრავს კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნებს, მათ შორის: ინფორმაციის გადაცემას მხოლოდ უფლებამოსილ პირებზე, მონაცემებზე წვდომის შეზღუდვას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, არასაჭირო სუბიექტებისგან ინფორმაციის დამალვას და ბავშვისა და მისი ოჯახის გასაუბრების კონფიდენციალურობის დაცვას.

დოკუმენტში გათვალისწინებულია, რომ რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტები ინფორმაციის გაცვლას ახორციელებენ მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში, წერილობითი ფორმით ან გადაუდებელი შემთხვევებისას — საკომუნიკაციო

არხებით. ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ შემთხვევასთან არათავდაპირველად დაკავშირებულ პირებს ინფორმაციაზე წვდომა აკრძალულია.

თუმცა, შემოწმების პროცესში აღმოჩნდა, რომ დაწესებულებაში პრაქტიკაში არ არის უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის სრულფასოვანი სისტემური მართვა. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში აღინიშნა კადრის არსებობა, რომელსაც „შეთავსებით" აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები, რეალურად დაწესებულებას არ ჰყავს ოფიციალურად დანიშნული და შესაბამისი კვალიფიკაციითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

კვალიფიციური ოფიცრის არქონა ქმნის სისტემურ რისკს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობის, მონაცემთა სტრუქტურული მართვის, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვისა და კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედების პროცესში.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის შესრულება **არ შეესაბამება** მოთხოვნებს.

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს:

- პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის ოფიციალური დანიშვნა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ოფიცრის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრა და დოკუმენტირება;
- პერსონალის რეგულარული გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემებზე;
- კონფიდენციალურობის დაცვის გენერალური პროცედურების პრაქტიკული დანერგვა, მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა;
- პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული პროცედურების ერთიანი, დოკუმენტირებული წესის შემუშავება და დამტკიცება.

### რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დღის განრიგი
2.N 18 ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი და ბრძანება ბ54. 2625160001
3. N36 რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანება N ბ54. 26251642
4. ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის და ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყნების მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის ფორმა.
5. N17 უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ბრძანება Nბ54. 26252067
6. ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის ამსახველი მასალები/ტრანზიციის
7. სამედიცინო პერსონალის ჩანაწერები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, სააგენტო უზრუნველყოფს საჭირო ფინანსურ რესურსს საბავშვო ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის. არსებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ფინანსური რესურსი მიმართულია როგორც საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფაზე (საკვები, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება), ისე განვითარების ღონისძიებებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს სამოქმედო გეგმების განხორციელებას. სააგენტოს ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა, რაც ზრდის მენეჯმენტის მოქნილობასა და სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერას.

თუმცა, შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი არ არის გაშლილი ინდივიდუალური საბავშვო ბაღების ჭრილში. ბიუჯეტის ერთიანი ფორმატი არ იძლევა საშუალებას შეფასდეს, კონკრეტული დაწესებულების ფინანსური მდგრადობა, რესურსების საკმარისობა ან მათი მიზნობრივი ხარჯვის ხარისხი. ასევე ვერ განისაზღვრა კონკრეტულად ამ დაწესებულებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის შესაბამისობა სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ ღონისძიებებთან.

ამ პირობებში შეუძლებელია დამოწმდეს, რომ კონკრეტულად **აღნიშნული დაწესებულების** სამოქმედო გეგმა ფინანსური რესურსით სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

## დასკვნა

ფინანსური მდგრადობის შეფასება **შეუძლებელია**, რადგან ბიუჯეტი წარმოდგენილია მხოლოდ სააგენტოს საერთო დონეზე და არ მოიცავს ინდივიდუალური ბაგა-ბაღის ფინანსური რესურსების დეტალურ გაშლას. ამის გამო არ არსებობს სრული და სანდო მტკიცებულება იმისა, რომ დაწესებულების სამოქმედო გეგმის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია.

რადგან დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში  შეფასებული აქვს როგორც **სრულად შესაბამისი** და გასაუბრების/ადგილზე დათვალიერების შედეგად შეფასდა დამაკმაყოფილებლად, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის  გადაწყვეტილებით ფასდება როგორც **სრული შესაბამისობა.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებამ/სააგენტომ უზრუნველყოს:

- ინდივიდუალური საბავშვო ბაღების ბიუჯეტების გამოყოფა
- ფინანსური გეგმის შესაბამისობა კონკრეტული ბაღის სამოქმედო გეგმასთან, რათა შესაძლებელი იყოს შესრულების მონიტორინგი;
- ფინანსური რესურსების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ანგარიშგების რეგულარული გამოქვეყნებით;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტურ საფუძველზე წარმოება, რომელიც ასახავს კონკრეტული ბაღის საჭიროებებსა და რესურსების გადანაწილებას;
- ფინანსური მდგრადობის შეფასების სისტემური მექანიზმის დანერგვა, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, ფინანსური რესურსების განაწილება გათვალისწინებულია სააგენტოს ბიუჯეტში ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს თითოეული საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებები, მათ შორის კვება, ინფრასტრუქტურული საჭიროებები, რესურსებისა და სათამაშო-საგანმანათლებლო მასალების შეძენა, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარება. სააგენტოში არსებობს შესყიდვების გეგმა, რომელიც მიზანმიმართულად ემსახურება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში რეალურად არის უზრუნველყოფილი საკმარისი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც სრულად შეესაბამება  ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და  სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“  განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან შემეცნებითი, განვითარებისა და თამაშის პროცესისთვის საჭირო მასალებით, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას ეფექტიანად განახორციელოს საგანმანათლებლო გეგმები.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები ადგილზე სრულად არსებობდა, წარმოდგენილი ბიუჯეტური დოკუმენტაცია არ იძლევა შესაძლებლობას, დეტალურად შეფასდეს კონკრეტული საბავშვო ბაღისთვის განაწილებული ფინანსური რესურსების მოცულობა და მათ შორის კურიკულუმის საჭიროებებთან შესაბამისობა. ბიუჯეტის ერთიანი ფორმატის გამო შეუძლებელია ინდივიდუალური დაწესებულების ფინანსური უზრუნველყოფის დოკუმენტურად დასაბუთებული ანალიზი.

ზემოაღნიშნული საფუძვლების გათვალისწინებით, ინდიკატორი **ფაქტობრივი სიტუაციიდან გამომდინარე სრულად შეესაბამება** მოთხოვნებს,

## დასკვნა

არსებული რესურსების ფაქტობრივი უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა შეფასდეს ქვესტანდარტი როგორც **სრულად შესაბამისი**, თუმცა ბიუჯეტის შეუსაბამო სტრუქტურა ქმნის დოკუმენტური დასაბუთების სირთულეს.

რეკომენდაცია
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................
რჩევა

დაწესებულებამ/სააგენტომ უზრუნველყოს:

- ბიუჯეტის გაშლა თითოეული საბავშვო ბაღის ჭრილში, რათა შესაძლებელი გახდეს ფინანსური რესურსების მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგი და კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის დადასტურება;
- ბიუჯეტში საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვის დანერგვა;
- შესყიდვების გეგმისა და განხორციელებული შესყიდვების რეგულარული დამთხვევის შემოწმება და დოკუმენტური დასაბუთება;
- აღსრულების წლიური ანგარიშის მომზადება ინდივიდუალური ბაღების საჭიროებებისა და ხარჯების შესაბამისობის შესახებ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების თვითშეფასების მიხედვით, ფინანსური რესურსების დაგეგმვა, განაწილება და მონიტორინგი ხორციელდება ცენტრალიზებულად — ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ, შესაბამისი კანონმდებლობისა და შიდა ფინანსური წესების შესაბამისად. პროცესი მოიცავს წლიური ბიუჯეტის დაგეგმვას, რესურსების მიზნობრივ ხარჯვას და მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის მხრიდან.

თუმცა, შემოწმების პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ფინანსური რესურსების მართვის სისტემის არსებობას კონკრეტულად **აღნიშნული დაწესებულების** ჭრილში. არც ერთ წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ასახული:

- ფინანსური დაგეგმვის მექანიზმები,
- ფინანსური რესურსების განაწილების წესები,
- მონიტორინგის ანგარიშები,
- შიდა კონტროლის სისტემა.

დოკუმენტაციის არარსებობა არ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს, რეალურად ფუნქციონირებს თუ არა ფინანსური რესურსების მართვის სრულყოფილი სისტემა, მოქმედებს თუ არა გამჭვირვალე და სტრუქტურირებული მექანიზმი და არის თუ არა პროცესები შესაბამისობაში სტანდარტთან.

## დასკვნა

ფინანსური რესურსების მართვის სისტემა **პრაქტიკულად ვერ დასტურდება**, რადგან მის არსებობას არ ამყარებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ინდიკატორი **არ შეესაბამება** მოთხოვნებს.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ/სააგენტომ უზრუნველყოს:

- ფინანსური რესურსების მართვის სისტემის ოფიციალური დოკუმენტირება (დაგეგმვის, განაწილების, ხარჯვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის პროცედურების აღწერა);
- ფინანსური რესურსების მართვის წლიური გეგმის შექმნა და დამტკიცება;
- ხარჯების გონივრულობისა და მიზნობრიობის მონიტორინგის ანგარიშების წარმოება და შენახვა;
- აუდიტის ანგარიშების რეგულარული წარდგენა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამყარება;
- ინდივიდუალური ბაღების საჭიროებების მიხედვით ფინანსური რესურსების გამოყოფის დაფიქსირება შესაბამის დოკუმენტებში;
- პროცესის გამჭვირვალობა და დაცვის საშუალებების დანერგვა.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი **მეტწილად** დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ბრძანება N54. 26252064
2. ორგანიზაციის ბიუჯეტი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☒ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |

| | |
|---|---|
| 2 | |
| 3 | |

თარიღი 24/11/2025

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მაგდა ზარამაძე | ---------------------------------- |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | ------თამარ ანთიძე------------------ | ---------------------------------- |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | ---- ალექსანდრე თათარიშვილი -------------- | ---------------------------------- |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | -----ლალი ალადაშვილი------------------- | ---------------------------------- |

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №1

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი | ბრძანების N: MES 4 25 0001029578- 26.08.2025 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნასამხრალი. | ვიზიტის თარიღი: 15.09.2025 და 16.09.2025 |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | 1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2. შენობა-ნაგებობის სქემა<br>3. სააგენტოს მიერ მიწერილი წერილი მუნიციპალიტეტისთვის შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ.<br>4. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და ბრძანება №54. 2625164001<br>5. N34 სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის აქტი.<br>6. შესაბამისობის გეგმა |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას სრულად გააჩნია დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მის კანონიერდა საკუთრების/სარგებლობის უფლებას: წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ასევე, დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა.<br><br>დაწესებულებაში წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიმართვას შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების შესახებ,<br><br>დაწესებულებას ასევე აქვს მიწერილი მიმართვები უფლებამოსილ უწყებებთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. აღნიშნული მიმართვების საფუძველზე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები და რეგულაციების შესრულებაზე ზედამხედველობა. | დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებებთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი დოკუმენტირი მტკიცებულებებით. ა. | | |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| **2.1.** | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის განთავსების მოთხოვნებს. შენობა ერთსართულიანია, რის შედეგადაც ყველა ჯგუფური ოთახი და ფუნქციური სივრცე განთავსებულია პირველ სართულზე.<br><br>სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, ჯგუფური ოთახები უნდა მდებარეობდეს პირველ ან/და მეორე სართულზე. დაწესებულების შემთხვევაში აღნიშნული პირობა სრულად არის დაცული, რადგან ერთსართულიანი შენობა უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხო და მარტივ გადაადგილებას, სივრცეების ხელმისაწვდომობას და სააღმზრდელო პროცესის უსაფრთხო ორგანიზებას. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | შენობის სართულების სტრუქტურა ქმნის უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ნორმატიულ გარემოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში შიდა და გარე ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება სავალდებულო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ყველა სივრცეს. არსებული სივრცეები მხარდამჭერია როგორც უსაფრთხოების, ისე განვითარების საჭიროებების მიმართ.<br><br>დაწესებულებაში მოწყობილია:<br><br>ჯგუფური ოთახები, რომელთაც თითოეული ჯგუფი ინდივიდუალურად იყენებს. თითოეულ ბავშვს გააჩნია კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე დადგენილი არანაკლებ 2 კვ.მ. სივრცე.<br><br>საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე, რომელიც განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია, რაც ადრეული და სკოლამდელი ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას.<br><br>გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია ინდივიდუალური სივრცე თითოეული ბავშვის პირადი ნივთებისთვის.<br><br>ბავშვთა სანიტარული კვანძი, რომელიც სრულად არის ადაპტირებული ბავშვების ასაკობრივი საჭიროებების მიხედვით.<br><br>პანდუსი/ლიფტი — მიუხედავად იმისა, რომ შენობა ერთსართულიანია და განთავსებულია მიწის დონეზე, რაც დამატებით არხს არ საჭიროებს, შენობაში შესვლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს.<br><br>ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ტემპერატურულ უსაფრთხოებას.<br><br>სანიტარული კვანძი პერსონალისთვის, რაც უზრუნველყოფს ჰიგიენური ნორმების დაცვას.<br><br>შიდა სივრცეები აღჭურვილია ვიზუალური მინიშნებებით, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების სივრცეში მარტივ მორგებას და დამოუკიდებელ გადაადგილებას.<br><br>შენობის ტერიტორიაზე არ გამოიყენება აზბესტის შემცველი მასალები, რაც უზრუნველყოფს გარემოს უსაფრთხოებას და ჯანმრთელობისთვის საფრთხის არარსებობას.<br><br>ადმინისტრაციული ოთახები, მათ შორის თანამშრომლობითი საქმიანობისთვის განკუთვნილი სივრცეები.<br><br>სენსო-მოტორული აქტივობებისთვის დახურული დარბაზი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ და სენსორულ | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში სანიტარული კვანძების მოწყობა ძირითადად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ბავშვებისა და პერსონალისათვის უსაფრთხო, ჰიგიენურად გაწესრიგებულ და ხელმისაწვდომ გარემოს.<br><br>კონკრეტულად:<br><br>დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საბავშვო ზომის არანაკლებ ერთი უნიტაზი ყოველ 15 ბავშვზე, რაც სრულ შესაბამისობაშია | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | WASH ინდიკატორის მოთხოვნებთან.<br><br>უზრუნველყოფილია საბავშვო ზომის არანაკლებ ერთი ხელსაბანი ნიჟარა ყოველ 20 ბავშვზე, რაც ასევე აკმაყოფილებს სტანდარტს.<br><br>მოქმედ სანიტარულ კვანძებში დაცული არ არის პრივატულობის პრინციპი — ტუალეტის კაბინები მოწყობილი არ არის გამიჯნულად; კარები საერთოდ არ აქვს.<br><br>სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური და საძინებელი ოთახების ფანჯრების ქვეშ, რაც სრულად შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.<br><br>პერსონალისთვის მოქმედებს ცალკე განკუთვნილი სანიტარული კვანძი, რაც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის ჰიგიენურ უსაფრთხოებას.<br><br>ნაწილობრივ შეუსაბამო ასპექტი:<br><br>დაწესებულებაში არ არის მოწყობილი ადაპტირებული სანიტარული კვანძები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ზრდასრული პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს WASH ინდიკატორის სავალდებულო კომპონენტს.<br><br>დაწესებულებამ აღნიშნული ნაკლის დასაძლევად შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ადაპტირებული სანიტარული კვანძის მოწყობის საჭიროება და შესაბამისი ღონისძიებები. შესაბამისად, ქვესტანდარტი შეფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. | დაწესებულებამ უზრუნველყოს მოქმედ სანიტარულ კვანძებში პრივატულობის დაცვა. ტუალეტის კაბინები მოწყოს გამიჯნულად, კარები უნდა იღებოდეს გარეთ. ასევე უზრუნველყოს ადაპტირებული სანიტარული კვანძის მოწყობა. | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას გააჩნია ეზო/გარე სივრცე, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ბავშვებისთვის უსაფრთხო და ასაკობრივად შესაბამის მოძრაობის, თამაშისა და აქტივობების გარემოს. ეზოს საერთო ფართობი შეესაბამება მინიმალური ნორმატივს და ერთ ბავშვზე მოდის არანაკლებ 3 კვ.მ., რის შედეგადაც დაცულია სტანდარტით დადგენილი თანაფარდობა. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია როგორც ტერიტორიის ფართობის, ისე განლაგების კონტექსტში.<br><br>გარე სივრცე ფუნქციონალურად გამოყენებადია, ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს ბუნებრივ შვილადყოფილ გარემოში აქტიური | დაწესებულებამ უზრუნველყოს ეზო/გარე სივრცე სრულად შემოღობვა 1,6 მ სიმაღლის მყარ შემოზღუდვით, როგორც ამას სტანდარტი მოითხოვს. | | |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | თამაშის შესაძლებლობას.<br><br>ნაწილობრივ შეუსაბამობაში მყოფი კომპონენტი:<br><br>ეზო/გარე სივრცე არ არის სრულად შემოღობილი 1,6 მ სიმაღლის მყარ შემოზღუდვით, როგორც ამას სტანდარტი მოითხოვს.<br><br>არსებული ღობის ნაწილი ვერ აკმაყოფილებს ვერტიკალური ღიობების მაქსიმალურ დაშვებულ ზომას (0,1 მ-ზე ნაკლები), ასევე შეინიშნება წვეტიანი ან გამოშვერილი დეტალები, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს ქმნიან ბავშვებისთვის შეხების ან შეჯახების შემთხვევაში.<br><br>აღნიშნული შეუსაბამობა ასახულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ შესაბამისობის გეგმაში, სადაც განსაზღვრულია ღობის მოდერნიზაციისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებები. | მოხდეს არსებული ღობის იმ ნაწილის რეაბილიტაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერტიკალური ღიობების მაქსიმალურ დაშვებულ ზომას (0,1 მ-ზე ნაკლები), ასევე უნდა აღმოიფხვრას წვეტიანი/გამოშვერილი დეტალები, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს ქმნიან ბავშვებისთვის შეხების ან შეჯახების შემთხვევაში. | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებას გააჩნია ეზო/გარე სივრცე, რომლის ფართობი ერთ ბავშვზე შეესაბამება კანონმდებლობით რეგულირებულ მინიმალურ მოთხოვნას (არანაკლებ 3 მ²). ეზო უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხო გადაადგილებას, ასევე განთავსებულია ასაკისა და სიმაღლის შესაბამისი, გლუვი ზედაპირის მასალისგან დამზადებული ინვენტარი და კონსტრუქციები, რომლებიც უსაფრთხო გამოყენების პირობებს უზრუნველყოფს. ეზოში მოწყობილია სავალდებულო ძირითადი ზონები და აღჭურვილობა: სასრიალო, საქანელა, სათამაშო სივრცე/კარავი, დასაჯდომი სივრცე მაგიდით, დრამატული და სენსორული თამაშებისთვის განკუთვნილი ზონები – რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.<br><br>დაწესებულების ეზოში დაცულია უსაფრთხოების მოთხოვნები იმ ადგილებში, სადაც 50 სმ ან მეტ სიმაღლიდან შესაძლებელი ხდება ბავშვის გადმოვარდნა – ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით. ეზოს სავალ ნაწილებზე გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო მასალა, რომელიც ინარჩუნებს თვისებებს დასველების შემთხვევაშიც. უზრუნველყოფილია განათება, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებსა და პერსონალს გარდამავალი ზონების უსაფრთხოდ გამოვლას. | დაწესებულებამ უზრუნველყოს საცოცი/ასაძრომი კონსტრუქციის ბალანსის აღჭურვილობის და საქვიშეს მოწყობა, როგორც ეს გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | რაც შეეხება დამატებით აღჭურვილობას – საცოცი/ასაძრომი კონსტრუქცია, ბალანსის აღჭურვილობა და საქვიშე დაწესებულებაში არ არის მოწყობილი და შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულზე ღონისძიებები არ არის გაწერილი, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შეუსაბამო. მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს, თუმცა შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულია მის მოწყობაზე თანხის/მოქმედების უზრუნველყოფა, რის გამოც აღნიშნული კრიტერიუმი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი.<br><br>საერთო ჯამში, ეზოს/გარე სივრცის მოწყობა და ძირითადი სავალდებულო მოთხოვნების შესრულება რეალურად უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხო, მრავალფეროვან და განვითარების მხარდამჭერ გარემოს, თუმცა სრულ შესაბამისობას საჭიროებს გარკვეული დამატებითი აღჭურვილობის მიღება და ინვესტირება, რაც აისახულია დაწესებულების შესაბამისობის გეგმაში. | | | შეფასება. ანუ ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში იმ სივრცეებში, სადაც ბავშვებს აქვთ წვდომა ფანჯრებზე და ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, დაცულია უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები – ფანჯრებს გააჩნიათ მყარად დამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას რომელიმე არასასურველი სიტუაციისგან. ნაქსოვი ბადის კონსტრუქცია დამაგრებულია იმგვარად, რომ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ ტვირთამწეობაზე, რაც ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობას უზრუნველყოფს.<br><br>თუმცა, ბადის უსაფრთხოების სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა – რომელიც უსაფრთხოების სტანდარტით უნდა იყოს განთავსებული ბავშვისთვის მიუწვდომელ ადგილას – დაწესებულებაში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული ხარვეზი არ არის ასახული შესაბამისობის გეგმაში და დაწესებულებას არ აქვს დაგეგმილი შესაბამისი ღონისძიებები.<br><br>ამიტომ ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. | რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობის დამონტაჟება – რომელიც უსაფრთხოების სტანდარტით უნდა იყოს განთავსებული ბავშვისთვის მიუწვდომელ ადგილას | | დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და მატერიალურ-ფინანსური რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით იცვლება შეფასება. ანუ ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | შენობაში არ არის კიბე | | | |
| | თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ბავშვთა თავშეყრის ადგილებში კუთხეების, კოლონების და კედლების უსაფრთხოების მოთხოვნების სრული დაცვა.<br><br>კერძოდ:<br><br>კუთხეები და ბარიერები დამუშავებულია უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად — კოლონებსა და კედლის კუთხეებს გააჩნიათ მინიმუმ 0,5 სმ რადიუსის მომრგვალება ან დამონტაჟებულია კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრავმის რისკს.<br><br>მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე — იატაკის დონეზე, 90 სმ და 150 სმ-ს სიმაღლეზე, რაც უზრუნველყოფს როგორც მცირე ასაკის ბავშვებისთვის, ისე უფროსი ასაკის ჯგუფებისთვის ვიზუალურ უსაფრთხოებას და სივრცის უკეთ აღქმას. | | | |
| კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია იმ გარემოს უსაფრთხოება, სადაც ბავშვები იმყოფებიან და იყენებენ ინვენტარს. სანიტარული და უსაფრთხოების მოთხოვნების მიხედვით:<br><br>ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენის წყაროები განთავსებულია ბავშვისათვის ხელმიუწვდომელ ადგილას. იმ შემთხვევებში, როდესაც დენსართები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია შესაბამისი დამცავი მექანიზმები, რაც ზრდის ელექტროუსაფრთხოების დონეს. | | | |
| ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში სრულად უზრუნველყოფილია ინვენტარის უსაფრთხოების სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ბავშვთა თავშეყრის სივრცეებში ყველა ელექტრომოწყობილობა განთავსებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას ან დაცულია სპეციალური საფარით უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. განათების წყაროები აღჭურვილია დამცავი ფარებით, რაც გამორიცხავს ტრავმის რისკს.<br><br>შენობაში არსებული ავეჯი მყარად არის მიმაგრებული კედელზე ან იატაკზე და | | | |
| 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | წარმოადგენს უსაფრთხოებასთან შესაბამის კონსტრუქციას. ჯგუფურ სივრცეებში მაგიდებისა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ და უსაფრთხო გარემოს.<br><br>საწოლები უზრუნველყოფილია ასაკის შესაბამისი სტანდარტების დაცვით: დაწესებულებას აქვს როგორც მაგარი ძირიანი საწოლები, ყველა საწოლი უზრუნველყოფილია შესაბამისი ზომის ლეიბებით. | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გადამოწმების პროცესში დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია სრულად მოიცავს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია სტანდარტით. კერძოდ:<br><br>გათვალისწინებულია ჯგუფური ოთახების რაოდენობა და მათი საერთო ფართობი, რაც ორიენტირებულია თითო ბავშვზე გათვალისწინებული მინიმალური ფართობის უზრუნველყოფაზე; | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს სრულად. | | | |

დანართი №2

## 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): თელავის მუნიციპალიტეტის ნასამხრალის ბაგა-ბაღი | ბრძანების N: MES 4 25 0001029578    26.08.2025 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნასამხრალი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *16.09.2025* |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | □ | ■ | □ | □ | 1."კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი" (ბრძანება: ბ54.26251992,თარიღი: 18.07.025)<br>2. გაზაფხული-ზაფხულის სეზონის 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ (ბრძანება: ბ54.26251982 თარიღი: 17.07.2025<br>3. შემოდგომა-ზამთრის 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ (ბრძანება: ბ54.2625030001 თარიღი: 30.01.2025)<br>4. გაზაფხული-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა (ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025<br>5. ინტერვიუს შედეგები<br>6. ვიზუალური დათვალიერება<br>7. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს დირექტორის Nბ54. 26230386 07.0.2023 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს შინაგანაწესი |
| საღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | კი | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | კი | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | წარმოდგენილია დოკუმენტი "კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"(ბრძანება: ბ54.26251992,თარიღი: 18.07.025), რომლის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენებია, რომ მენიუში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში ჩანაცვლება მოხდება დანართი N4-ით დამტკიცებული "საკვები პროდუქტების ჩანაცვლების ცხრილი"-ს მიხედვით, რომელიც არის შაბლონური ხასიათის. ასევე, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში პროდუქტის ჩანაცვლების ცხრილის გარდა, არ არის გაწერილი არც ერთი მექანიზმი, წესები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს მენიუში ცვლილების შეტანის საჭიროებისას, ენერგეტიკული ღირებულებების შენარჩუნებას.<br>"კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ს დოკუმენტაციაში მენიუს უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას შერჩეული აქვს ,,სტაციონარული კვებითი უზრუნველყოფა"-ს ფორმა და საჭირო საკვებ პროდუქტებს და სასურსათო ნედლეულს შეისყიდის ტენდერის გზით (მუხლი მე-3, ნაწილი 1, ნაწილი 2). დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვის (ტენდერის)შესყიდვის აქტები (სასაქონლო ზედნადებები), რაც ადასტურებს სტაციონარული კვების უზრუნველყოფის ფორმით მზადას.<br>კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვების თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები გაწერილია "კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ში (მუხლი მე-4 ნაწილი 1). დაწესებულებას ბავშვის ჩარიცხვის ეტაპზე გაწერილი აქვს ინფორმაციის შეგროვების მეთოდები. დამატებით დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციის მოკვლევის გრაფიკი მუხლი 4 ნაწილი 1-ის გრაფიკი 2-ის შესაბამისად. ალერგიული ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვისთვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში დოკუმენტაციაში (მუხლი მე-4 ნაწილი 2) გაწერილია უსაფრთხოების გარკვეული საკითხები საკვების დაწესებულებაში მიღების ეტაპზე, თუმცა არ არის გაწერილი უსაფრთხოდ მისი გამოყენების მექანიზმები (ვინ აწვდის, ვინ უწევს ბავშვის კვებას მონიტორინგს). გარდა ამისა, გადაუდებელ შემთხვევაში გაწერილია სამოქმედო გეგმა (მუხლის მე-4 ნაწილი 3), თუმცა სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პუნქტში გაწერილია: "ბავშვის ფორმა 100-ის მიხედვით პედიატრის/ალერგოლოგის მიერ დანიშნული მედიკამენტის მიცემა ბავშვისთვის", რომელ პუნქტშიც არ არის გაწერილი მედიკამენტის მიცემაზე პასუხისმგებელი პირი.<br>"კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ის მე-5 მუხლის ნაწილი 1-ში და 2-ში („პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი") მოხსენიებულია სასურსათო ნედლეულის, პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლისა და ორგანოლეპტიკური შეფასების აუცილებლობის თაობაზე, თუმცა არ არის გაწერილი ნედლეულის მიღებიდან მზა სურსათის გაცემის ჩათვლით თითოეული ტექნოლოგიური ეტაპის კონტროლის მექანიზმები, წესები, პროცესები(მათ შორის არც ტემპერატურული რეჟიმების კონტროლი), რითიც უნდა იხელმძღვანელოს პასუხისმგებელმა პირმა.<br>"კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ს მე-6 მუხლში მოცემულია სურსათის დამუშავებისას გამოსაყენებელი ჭურჭლის, ინსტრუმენტების უსაფრთხოების საკითხის ზოგადი მიმოხილვა (მუხლი მე-6 ნაწილი 3,ნაწილი 4, ნაწილი 6), სურსათის მომზადების პროცესში ნუტრიენტების, ვიტამინების, მიკრო და მაკრო ელემენტების შენარჩუნების უზრუნველყოფის აცილებლობის ზოგადი ჩანაწერი(მუხლის მე-6 ნაწილი 2), გადაცდენის მაღალი რისკის შემცველი საკვების ტექსტურის შეცვლის ზოგადი ჩამონათვალი(მუხლი მე-6 ნაწილი5), სერვირებაზე გაკეთებულია ჩანაწერი: „ჭურჭელი კერძის სპეციფიკის შესაბამისია"(მუხლის მე-6 ნაწილი 6). ზემოხსენებული ჩანაწერები არ პასუხობს ამ თავში შეფასების ინდიკატორის კითხვარს. არ არის გაწერილი კონკრეტულად საკვების/კერძების, პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების კონკრეტული მეთოდები, გადაჭრის გზები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები, მეთოდები.<br>დამტკიცებულია, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი ("კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ს მე-7 მუხლის ნაწილი 4), თუმცა ცხრილი არის შაბლონური ხასიათის, არ არის მასში გაწერილი კონკრეტული სურსათის/პროდუქტების ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მენიუს შემუშავების დროს ("კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ის დანართი N5).<br>დაწესებულებას დამტკიცებული აქვს გაზაფხული-ზაფხულის სეზონისა და შემოდგომა-ზამთრის 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ (ბრძანება: ბ54.26251982 თარიღი: 17.07.2025 და ბრძანება: ბ54.2625030001 თარიღი: 30.01.2025), რომელშიც სავალდებულო ინფორმაციიდან გამოტოვებულია ერთი პუნქტი: თითოეული კერძის რაოდენობა ერთ ბავშვზე გადანაწილებით გრამებში.<br>დაწესებულებას შედგენილი აქვს გაზაფხული-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა (ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025), რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კერძის ინდივიდუალური ბარათი; მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი); კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა); ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი); პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო), პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით, თუმცა, ყოველი დღის კართოტეკის ცხრილებში არ არის გათვალისწინებული: თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა). ასევე კერძის შემადგენლობაში და რეცეპტურაში, ზოგ კერძში არ არის მითვლილი წყლის რაოდენობა, რომელიც გამოსავლიანობის ანგარიშისას გასათვალისწინებელია. | გაუთვალისწინებელი გარემოების დროს, მენიუს ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში კერძის ჩანაცვლება უნდა მოხდეს ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით, შესაბამისად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მენიუში ცვლილების შეტანის მექანიზმები. შემუშავებული წესი უნდა უზრუნველყოფდეს კვების პროცესის მდგრადობას.<br>ალერგიული ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვისთვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში დოკუმენტაციაში/მეთოდოლოგიაში(მუხლი მე-4 ნაწილი 2) გაწერილი უნდა იყოს საკვების უსაფრთხოდ გამოყენების მექანიზმები (ვინ აწვდის, ვინ უწევს ბავშვის კვებას მონიტორინგს და ა.შ). ასევე გადაუდებელ შემთხვევისას სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს განსაზღვრული მედიკამენტის მიცემაზე პასუხისმგებელი პირი.<br>მეთოდოლოგიაში უნდა იყოს გაწერილი ნედლეულის მიღებიდან მზა სურსათის გაცემის ჩათვლით თითოეული ტექნოლოგიური ეტაპის კონტროლის მექანიზმები, წესები, პროცესები, რითიც უნდა იხელმძღვანელოს პასუხისმგებელმა პირმა.<br>"კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ს მე-6 მუხლში უნდა იყოს გაწერილი კონკრეტულად საკვების/კერძების, პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების კონკრეტული მეთოდები, გადაჭრის გზები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები, მეთოდები.<br>დამტკიცებული უნდა იყოს, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი, რითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება მენიუს შემუშავების დროს ("კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ის დანართი N5).<br>გაზაფხული-ზაფხულის სეზონისა და შემოდგომა-ზამთრის 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუში (ბრძანება: ბ54.26251982 თარიღი: 17.07.2025 და ბრძანება: ბ54.2625030001 თარიღი: 30.01.2025), უნდა დაემატოს თითოეული კერძის რაოდენობა ერთ ბავშვზე გადანაწილებით გრამებში.<br>დაწესებულების გაზაფხული-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა (ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025) უნდა მოიცავდეს თითოეული კერძის გამოსავალს (გასაცემი ულუფის ზომა) და კერძის შემადგენლობაში,რეცეპტურაში, უნდა იყოს მითვლილი დამატებული წყლის რაოდენობა, რომელიც გამოსავლიანობის ანგარიშისას გასათვალისწინებელია. | მეთოდოლოგიაში ჩამოთვლილ საკანონმდებლო რეგულაციებს (რომელსაც დაწესებულება უნდა დაეყრდნოს კონტროლისას) დაემატოს სავალდებულო კანონმდებლობა: 1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N118 დადგენილება- „საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ", 2. საქართველოს მთავრობის 9 ნოემბრის N567 დადგენილება „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტი) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", 3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის N152 დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", 4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების , მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ **(2025 წლის 14 დეკემბრის წერილი N54-26253485)** 2025 წლის 14 დეკემბერს წარმოადგინა ნასამხრალის საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ 1.1; 1.2; 1.3; 1.4 იდიკატორებისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | □ | ■ | □ | □ | აწესებულებამ წარმოადგინა დღის განრიგი კვების პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, რათა დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება მოხდეს ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს. თუმცა, დღის განრიგის ცხრილის მიხედვით პერიოდულობის დაცვა დადასტურებული არ არის სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით, წესებით, დოკუმენტირების სისტემით<br>დაწესებულებაში ბავშვის დაყოფნება განისაზღვრება 5 ან მეტი საათით, რაც დასტურდება "კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი"-ის მუხლი 2 ნაწილი 3-ით. დაწესებულებას 5 საათი ან მეტი საათით ბავშვის გაჩერებისთვის წარმოდგენილი აქვს 2 ძირითადი კვება (საუზმე, სადილი) და ორი წახემსება (ბრძანება: ბ54.26251982 თარიღი: 17.07.2025 და ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025), რაც პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს.<br>მენიუ დადგენილია იმგვარად, რომ არ პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს (მტკიცებულება ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025). გაზაფხული-ზაფხულის მენიუ: დღე 1: საუზმე ≈31.6%, წახემსება ≈3.74%, სადილი ≈44.64, შუადღის წახემსება ≈19.96; დღე 2: საუზმე ≈36.25%, წახემსება ≈3.8%, სადილი ≈32.45%, შუადღის წახემსება ≈27.45%; დღე 3: საუზმე ≈31.8%, წახემსება ≈3.74%, სადილი ≈45.5%, შუადღის წახემსება ≈18.94%; დღე 4: საუზმე ≈31.92%, წახემსება ≈4.33%, სადილი ≈37.88%, შუადღის წახემსება ≈25.87%; დღე 5: საუზმე ≈32.25%, წახემსება ≈3.84%, სადილი ≈43.98%, შუადღის წახემსება ≈19.92%; დღე 6: საუზმე ≈31.55%, წახემსება ≈3.7%, სადილი ≈44.82%, შუადღის წახემსება ≈19.89%; დღე 7: საუზმე ≈31.87%, წახემსება ≈3.85%, სადილი ≈39.3%, შუადღის წახემსება ≈25%; დღე 8: საუზმე ≈28.27%, წახემსება ≈3.74%, სადილი ≈45.66%, შუადღის წახემსება ≈22.29%; დღე 9: საუზმე ≈32.7%, წახემსება ≈3.84%, სადილი ≈36.02%, შუადღის წახემსება ≈27.43%; დღე 10: საუზმე ≈31.45%, წახემსება ≈2.84%, სადილი ≈40.02%, შუადღის წახემსება ≈21.19%. შემოდგომა-ზამთრის მენიუ: დღე 1: საუზმე ≈31.7%, წახემსება ≈3.56%, სადილი ≈44.7%, შუადღის წახემსება ≈19.99%; დღე 2: საუზმე ≈21.74%, წახემსება ≈6.26%, სადილი ≈31.64%, შუადღის წახემსება ≈26.76%; დღე 3: საუზმე ≈31.86%, წახემსება ≈3.55%, სადილი ≈45.6%, შუადღის წახემსება ≈18.98%; დღე 4: საუზმე ≈31.97%, წახემსება ≈4.34%, სადილი ≈37.76%, შუადღის წახემსება ≈25.91%; დღე 5: საუზმე ≈31.45%, წახემსება ≈6.2%, სადილი ≈42.89%, შუადღის წახემსება ≈19.42%; დღე 6: საუზმე ≈31.61%, წახემსება ≈3.54%, სადილი ≈44.9%, შუადღის წახემსება ≈19.93%; დღე 7: საუზმე ≈31.06%, წახემსება ≈6.27%, სადილი ≈38.3%, შუადღის წახემსება ≈24.35%; დღე 8: საუზმე ≈28.34%, წახემსება ≈3.5%, სადილი ≈45.77%, შუადღის წახემსება ≈22.34%; დღე 9: საუზმე ≈31.88%, წახემსება ≈6.25%, სადილი ≈35.11%, შუადღის წახემსება ≈26.74%; დღე 10: საუზმე ≈32.07%, წახემსება ≈2.89%, სადილი ≈40.81%, შუადღის წახემსება ≈19.64%.<br>მენიუ დაგეგმილი არ არის იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა (მტკიცებულება ბრძანება:ბ54.2625030001 თარიღი: 30.01.2025 და ბრძანება: ბ54.26251982 თარიღი: 17.07.2025). მენიუს დაგეგმვისას არ არის გათვალისწინებული სურსათის ხუთი ძირითადი ჯგუფიდან ხილისა და ბოსტნეულის ჯგუფის სეზონურობა. ამ ჯგუფში შემავალი პროდუქტები მწირედაა წარმოდგენილი მენიუში. მაგალითად: გაზაფხული-ზაფხულის პერსპექტიულ მენიუში ხილიდან გამოყენებულია მხოლოდ ატამი, ვაშლატამა და ვაშლი. შემოდგომა-ზამთრის პერსპექტიულ მენიუში ხილიდან გამოყენებულია მხოლოდ ვაშლი და ბანანი. არც გაზაფხული-ზაფხულისა და არც შემოდგომა-ზამთრის მენიუს მე-10 დღეს საერთოდ არ გათვალისწინებული ხილის მიღება.<br>მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ ერთიდაიგივე კერძი არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით, რაც შესაბამისობაშია რეგლამენტთან.<br>საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს, გარდა მე-4, მე-8 და მე-10 დღისა. მე-4 დღის მენიუში საუზმეზე არ არის გამოყენებული რძის ნაწარმი და ხილი (ხილი არც დილის წახემსებაზეა გამოყენებული), მე-8 დღის მენიუში რძის ნაწარმი, ხოლო მე-10 დღეს ხილი.<br>სადილის დაგეგმვისას კვების მე-2 დღეს არ არის გამოყენებული ძირითადი კერძი და გარნირი, მე-4 დღეს ძირითადი კერძი და გარნირი, მე-5, მე-7 და მე-9 დღეს გარნირი. ასევე, არცერთი დღის სადილის კარტოთეკაზე არ არის განსაზღვრული სასმელი წყლის მიწოდება. (ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025).<br>მე-4 დღის წახემსებაზე გამოყენებულია იოგურტი, რომელზეც არ არის მითითებული დაბალცხიმიანია თუ არა, ასევე შუადღის წახემსებაზე გამომცხვარი ლობიანი. მე-2 დღეს გამოყენებულია კარტოფილის ღვეზელი, მე-5 დღეს ალადები.მე-3 დღეის შუადღის წახემსებაზე გამოიყენება მაწონი, რომელზეც არ არის განსაზღვრული ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი და შესაბამისად უცნობია დაბალცხიმიანია თუ არა. 1-ლი და მე-6 დღის შუადღის წასახემსებლად განსაზღვრულია კვერცხიანი პური. მე-7 დღის შუადღის წახემსებისთვის გამოყენებულია ხაჭოს პუდინგი, მე-8 დღის შუადღის წახემსებისთვის ხაჭაპური, მე-10 დღის შუადღის წახემსებაზე მჭადი და ყველი (ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025 და). თითოეული კერძი უნდა იყოს ჩანაცვლებული შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულით/ახალი ხილით/ბოსტნეულით/რძით ან დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმით.<br>მენიუში სასმელად ძირითადად გამოყენებულია მხოლოდ ხილის ჩაი. მენიუსა და მისგან გამომდინარე შექმნილ კართოტეკაზე არ არის გათვალისწინებული სასმელი წყალის გამოყენება, რომელიც რეგულარულად უნდა მიეწოდოს ბავშვებს საჭიროების შემთხვევაში. ასევე, არ არის გათვალისწინებული დაბალი ცხიმიანობის რძე და ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) | დღის განრიგის ცხრილის მიხედვით პერიოდულობის დაცვა დადასტურებული უნდა იყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით, წესებით, დოკუმენტირების სისტემით. ასევე, დღის განრიგის დამტკიცებისას და კვების მენიუს ცვლილებისას გათვალისწინებული იყოს კვების ჯერადობა და ენერგეტიკული ღირებულების დაცვა. მაგ. 4-ჯერადი კვების დროს დღიური რაციონი უნდა იყოს 1292 კკალ, ხოლო იმ ბავშვებისთვის ვინც იკვებება 3-ჯერადი კვებით, უზრუნველყოფილი იყოს დღიური რაციონის არანაკლებ 75%.<br>მენიუ დაგეგმილი უნდა იყოს იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად იყოს განაწილებული: საუზმე ≈20%; წახემსება ≈10%; სადილი ≈30%; შუადღის წახემსება ≈15%<br>მენიუ უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს სეზონურობა და მენიუ გამდიდრდეს სხვადასხვა ხილ-ბოსტნეულით (მტკიცებულება ბრძანება:ბ54.2625030001 თარიღი: 30.01.2025 და ბრძანება: ბ54.26251982 თარიღი: 17.07.2025).<br>საუზმე დაგეგმილი უნდა იყოს იმგვარად, რომ მოიცავდეს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს. მე-4 დღის მენიუში საუზმეზე უნდა იყოს გამოყენებული რძის ნაწარმი და ხილი (ან ხილი იყოს გადატანილი დილის წახემსებაზე), მე-8 დღის მენიუში რძის ნაწარმი, ხოლო მე-10 დღეს ხილი.<br>სადილი დაგეგმილი უნდა იყოს იმგვარად, რომ მოიცავდეს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავდეს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს. სადილის დაგეგმვისას კვების მე-2 და მე-4 დღეს უნდა იყოს გამოყენებული ძირითადი კერძი და გარნირი, მე-5, მე-7 და მე-9 დღეს გარნირი. ასევე, ყოველი დღის სადილზე უნდა იყოს განსაზღვრული სასმელი წყლის მიწოდება რეგულარულად. (ბრძანება:ბ54.26252052 თარიღი: 24.07.2025).<br>წახემსება დაგეგმილი უნდა იყოს იმგვარად, რომ მოიცავდეს: შაქრის ნაკლებად შემცველ ბურღულს ან/და ახალ ხილს ან/და ბოსტნეულს ან/და რძეს ან/და დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს.<br>სასმელად უნდა იყოს გათვალისწინებული სასმელი წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე). | **პირველი კვირის ორშაბათ დღეს და მეორე კვირის ორშაბათ დღეს გაწერილია ერთნაირი კერძი, მაგრამ რეკომენდირებულია მეორე კვირის ორშაბათ დღეს იგივე კერძის სხვა სახით შეთავაზება.** | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ **(2025 წლის 14 დეკემბრის წერილი N54-26253485)** 2025 წლის 14 დეკემბერს წარმოადგინა ნასამხრალის საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ჩეკლისტის მეორე თავის იდიკატორებისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | □ | ■ | □ | □ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | □ | ■ | □ | □ | | | | |
